ანტიკური ლიტერატურა

ეპიდემია და ანტიკური ლიტერატურა

ნინო ჩიხლაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
ninochikhladze55@gmail.com

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია კორონავირუსის გლობალურ საფრთხეზე ალაპარაკდა და ისეთი სიტყვები, როგორიცაა ეპიდემია, პანდემია, პანიკა ჩვენი ყოველდღიური დისკურსის ნაწილი გახდა. ეს სიტყვები ბერძნული წარმოშობისაა და იმაზე მიუთითებს, რომ ძველი ბერძნები ბევრს ფიქრობდნენ დაავადებებზე, როგორც მისი წმინდა სამედიცინო გაგებით, ასევე, როგორც გარკვეულ მეტაფორაზე. ანტიკურ ლიტერატურაში ბერძნები ჭირს Loimos-ს, ხოლო რომაელები - Pestis-ს უწოდებენ. სტატია ეხება შავი ჭირის ეპიდემიის აღწერას ანტიკურ ლიტერატურაში, კერძოდ, ჰომეროსთან, სოფოკლესთან, თუკიდიდესთან, ლუკრეციუსთან, ვერგილიუსთან და ოვიდიუსთან.

საკვანძო სიტყვები: *ეპიდემია, ანტიკური ლიტერატურა, მწერლები, ექიმები.*

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია 2020 წლის 11 მარტს გამოაცხადა. მანამდე კი, 30 იანვარს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია კორონავირუსის გლობალურ საფრთხეზე ალაპარაკდა. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო. ის გამოწვეული იყო კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამით. მალე ეპიდემია მსოფლიოს 210 ქვეყანაში დაფიქსირდა.

ვირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა, 21 მარტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა ამოქმედდა და ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: *ეპიდემია, პანდემია, პანიკა* ჩვენი ყოველდღიური დისკურსის ნაწილი გახდა. ეს სიტყვები ბერძნული წარმოშობისაა და იმაზე მიუთითებს, რომ ძველი ბერძნები ბევრს ფიქრობდნენ დაავადებებზე, როგორც მისი წმინდა სამედიცინო გაგებით, ასევე, როგორც გარკვეულ მეტაფორაზე (Alchon 2003: 17).

ანტიკურ ლიტერატურაში ბერძნები ჭირს *Loimos*-ს, ხოლო რომაელები - *Pestis*-ს უწოდებენ. საინტერესოა, რომ მსოფლიოში ცნობილი პირველი მხატვრული ნაწარმოები - **ჰომეროსის** ეპიკური პოემა „ილიადა“ (ძვ. წ. მე-8 ს.) სწორედ ჭირის ეპიდემიის აღწერით იწყება: როცა აპოლონის ქურუმს

მხედართმთავარი აგამემნონი უარს ეტყვის, დაუბრუნოს ქალიშვილი ქრისეისი, საკუთარი ქურუმის შეურაცხყოფით განრისხებული აპოლონი ცხრა დღის განმავლობაში შავ ისრებს დაუშენს ბერძენთა ბანაკს, ანუ შავი ჭირის ეპიდემიას მოუვლენს აქაველებს: *ჯერ ჯორები და მკვირცხლი ძაღლები გაწყვიტა, ბოლოს კი ბასრი ისარი ხალხსაც მიაწვდინა: მთელი დღეები მრავალ კოცონზე იწვოდა გვამები“* (ჰომ. ილ. I, 50-55). მისანმა კალქასმა განაცხადა, რომ დანაელებს საშინელი ეპიდემია არ ასცდებოდათ, სანამ ასულს არ დაუბრუნებდნენ მამას და წმინდა ას ხარს არ შესწირავდნენ აპოლონს (ჰომ. ილ. I, 68-70).

ამგვარად, როცა გავეშებულ ბერძენთა ჯარი ტროას ასაღებად ემზადებოდა, პირველი დიდი მსხვერპლი, რომელიც აღიწერა „ილიადაში“, შავი ჭირის ეპიდემიას ემსხვერპლა. აგამემნონი, როგორც ჭეშმარიტი წინამძღოლი, ეპიდემიით შეშინებული, გადაწყვეტს: *ოღონდ კი ხალხი გადარჩეს* და არ *ამოწყდეს, დავაბრუნებ ქრისეისს* (ჰომ. ილ. 120).

ჰომეროსი არ აღწერს შავი ჭირის მიმდინარეობას, სიმპტომებს, უბრალოდ გვაჩვენებს, რომ ეპიდემიისგან ადამიანები და ცხოველები იხოცებიან, დაავადებით გარდაცვლილთა გვამებს წვავენ და რომ ეს არის ღვთიური სასჯელი ადამიანური შეცდომებისთვის. როგორც ჩანს, ეპიდემიას ადამიანები უძველესი დროიდან იცნობდნენ და ჰომეროსმაც, როგორც დიდმა რეალისტმა, აღწერა იგი თავის პოემაში (შდრ. Duncan-Jones 1996: 23-24), თუმცა ეპიდემიას აქ უფრო გარკვეული მხატვრული დატვირთვა აქვს (შდრ. Axarlis 2017:11; Gilman 2010:79). იგი წარმოაჩენს მხედართმთავრის, რომლის ტრადიციული მახასიათებლებია *ქედმაღალი, ამპარტავანი,* ხასიათში ისეთ შტრიხს, რომელიც მთელი პოემის მანძილზე თითქმის აღარსად ჩანს: აგამემნონი ეპიდემიის დროს ჩნდება, როგორც თავის ხალხზე მზრუნველი წინამძღოლი. ერთადერთი, რისთვისაც აგამემნონი დათმობაზე მიდის და მამას ქალიშვილს უბრუნებს, აქაველებზე და საბერძნეთზე ზრუნვაა, რადგან იცის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ჭირისაგან მასიურად დაიღუპებიან ბერძნები და ვეღარც ტროელებზე შურისგების მთავარი მისიის შესრულებას შეძლებენ.

დაახლოებით 270 წლის შემდეგ, ძვ. წ. მე-5 საუკუნეში, ჭირის ეპიდემიას და ხალხის მასობრივ მსხვერპლს აღწერს **სოფოკლე** ტრაგედიაში „ოიდიპოს მეფე“.

ძვ. წ. 430-426 წლებში, პელოპონესის ომის დროს, ათენში მართლა გავრცელდა შავი ჭირი, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი და ადამიანების დემორალიზება. შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტმა ჰპოვა ასახვა დრამატურგის შემოქმედებაში. შავი ჭირი ათენში იყო ძვ. წ. 430-426 წლებში, ხოლო სპექტაკლი დაიდგა ძვ. წ. 429 წელს. ეს ტრაგედიაც შავი ჭირის აღწერით იწყება: *შავი*

ჭირი ტანჯავს ქალაქს, აცარიელებს კადმოსის მიწას, ხოლო შავბნელი ჰადესი კი კვნესით მდიდრდება (სოფოკლ.ოიდ.პროლ.4-5). ქურუმი ტირესიასი სთხოვს ოიდიპოსს, ისევ იხსნას მათი ქალაქი შავი ჭირისგან, როგორც ერთხელ უკვე სფინქსისგან იხსნა, თორემ დაცარიელებული ქალაქის მეფობა მოუწევს. სენისაგან ხსნის ერთადერთი გზა კი ქვეყნიდან ლაიოსის მკვლელის გაძევებაა და ოიდიპოსი, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობს, ამ საქმის გამომძიებელიც შეიძლება თვითონ იყოს და დამნაშავეც თვითონვე აღმოჩნდეს, იღებს გადაწყვეტილებას, მოძებნოს და დასაჯოს ლაიოსის მკვლელი, რათა ჭირის ეპიდემიისგან იხსნას ქალაქი. შავი ჭირის თემა გვხვდება სოფოკლეს კიდევ ერთ ტრაგედიაში „ანტიგონე“. წინასწარმეტყველი ტირესიასი აფრთხილებს თებეს მმართველ კრეონს, რომ თუ "მოკლულს *ხელახლა მოკლავს",* ანუ პოლინიკესს არ დამარხავს, ღმერთები არ აპატიებენ და შავი ჭირი მოედება ქალაქს. ჭირის გავრცელების და ადამიანების დახოცვის შიშით, კრეონიც იღებს გადაწყვეტილებას, შეცვალოს მის მიერვე გამოცემული კანონი და ქალაქი იხსნას საშინელი ეპიდემიისგან.

ძნელი სათქმელია, იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს სოფოკლე (ძვ.წ.490-406) და **თუკიდიდესი** (ძვ.წ.460-400), მაგრამ ისტორიკოსი თუკიდიდესიც ეხება შავი ჭირის ეპიდემიის თემას „პელოპონესის ომის ისტორიაში“ (წიგნი მეორე, თავი მესამე). იგი აღწერს ჭირს, რომელიც თავს დაატყდა ათენს ძვ.წ. 430 წელს. ეს ანტიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექსტია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, როგორი ზარალის მიყენება შეუძლია ეპიდემიას სახელმწიფოებისთვის (Olson 1996: 88-89; Inwood 2008: 51-52).

ცნობილი ფაქტია, რომ ათენის მმართველი პერიკლესი ჭირით გარდაიცვალა ძვ. წ. 429 წელს. ჭირით თავად თუკიდიდესიც იყო დაავადებული, მაგრამ განიკურნა და გადარჩა. ისტორიკოსი ასეც აღნიშნავს: *დამეჯერება რასაც ამ ჭირზე მოგიყვებით, რადგან მე თვითონ გამოვცადე იგი* (თუკიდ. ისტ. 2, 3, 1120-1125).

თუკიდიდესი ჰყვება, რომ პელოპონესელთა და მათ მოკავშირეთა ძალების ორი მესამედი არქიმანდროსის სარდლობით შეიჭრა ატიკაში და ქვეყნის რბევა დაიწყო. მტრის გამოჩენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ათენში ეპიდემიის პირველი შემთხვევები აღინიშნა. მსგავსი ჭირი ადრეც ყოფილა სხვადასხვა ადგილას, მაგრამ ის არასდროს გავრცელებულა ასე სწრაფად და არასდროს უმსხვერპლია ამდენი ადამიანი. მის წინაშე უძლური იყო ყველა და ყველაფერი და ხალხი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ჭირი ეთიოპიაში გაჩნდა, იქიდან ჯერ ეგვიპტესა და ლიბიაში, შემდეგ სპარსეთის მთელ სამფლობელოს მოედო. მოულოდნელად იფეთქა ათენშიც. ჯერ პირეოსში გამოჩნდა, მერე ზემო ქალაქშიც ავიდა და მსხვერპლის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

სნეულება მაღალი სიცხითა და თვალების დაწითლებით იწყებოდა და სწრაფად ედებოდა მთელ ორგანიზმს. ავადმყოფს სუნთქვა უჭირდა და წყურვილი ახრჩობდა. უმრავლესობა მეშვიდე, ან მეცხრე დღეს კვდებოდა. ვინც კრიზისს გადაიტანდა, ხშირად სისუსტისგან კვდებოდა, ან ხეიბრდებოდა.

სენი განურჩევლად ცელავდა მდიდარსა და ღარიბს, კარგად მოვლილსა და უპატრონოს. ამ უბედურების ყველაზე მძიმე შედეგი მაინც სულიერი დაცემა იყო: ვინც თავს შეუძლოდ იგრძობდა, იმედს გადაიწურავდა და სიკვდილს ელოდა. ავადმყოფობა გადამდები იყო და სნეულთა მოვლას მხოლოდ ჭირმოხდილები და გადარჩენილები ბედავდნენ. სენი ადამიანს მეორედ აღარ ეკარებოდა.

ათენელთა უბედურებას ამძაფრებდა ისიც, რომ ქალაქში უამრავი ლტოლვილი იყო. ბინები არ ჰყოფნიდათ, მთელი ქალაქი მომაკვდავებითა და გვამებით იყო სავსე. დაკრძალვის წესებს აღარავინ იცავდა. საკუთარ მიცვალებულს ყველა ისე ასაფლავებდა, როგორც შეეძლო. უსახსრობის გამო ზოგი ნამუსზე სულ იღებდა ხელს და სხვისთვის გამზადებულ კოცონს ეპატრონებოდა.

საერთოდ, ჭირმა ათენში უკანონობა წარმოშვა. რასაც ადრე მალულად თუ ჩაიდენდა კაცი, ახლა ამას აშკარად და უტიფრად კადრულობდა. უცებ შეიცვალა ყველაფერი: მდიდარი კვდებოდა და უქონელი ეუფლებოდა მის ქონებას. რადგან სიცოცხლე და სიმდიდრე გარდამავალ ღირებულებებად იქცა, ყველა წუთიერ სიამოვნებას ესწრაფვოდა. ამაღლებული მიზნისთვის თავის გაწირვა აღარავის სურდა, რადგან არ იცოდა, მოესწრებოდა თუ არა ნანატრ მომავალს: *განცხრომა უპირველეს და უმშვენიერეს საქმედ იქცა. აღარ აკავებდა კაცს ბოროტებისგან აღარც ღმერთების და აღარც კანონის შიში, რადგან ყველა ერთნაირად იხოცებოდა და არავინ იცოდა, იცოცხლებდა თუ არა კანონიერ სასჯელამდე. უფრო მძიმე განაჩენი ხომ უკვე გამოტანილი იყო და მის აღსრულებამდე ყველას უნდოდა სიცოცხლით დამტკბარიყო* (თუკიდ. ისტ. 3,167-171).

ასეთი იყო ათენელთა გასაჭირი - ქალაქში მათ ჭირი ავლებდა მუსრს, გარეთ კი, მტერი აჩანაგებდა მათ მიწას. სანამ პელოპონესელები ატიკაში იყვნენ, ათენელთა ხომალდები კი - ზღვაში, ჭირი მძვინვარებდა ქალაქშიც და ათენის ჯარშიც. თუკიდიდესი აღნიშნავს, რომ პელოპონესელებმა ატიკა სწორედ ჭირის შიშით დატოვეს. ვერც ქალკიდელთა და პოტეიდაიელთა წინააღმდეგ გახდნენ ვერაფერს ათენელები. აქაც შავი ჭირი დაერია მათ. ჰაგნონმა 40 დღეში 4000-დან 500-მდე ჰოპლიტი დაკარგა და უკან გაბრუნდა.

პელოპენესელთა მეორე შემოსევამ და ჭირმა ათენელთა განწყობილება მკვეთრად შეცვალა. ისინი პერიკლესს ადანაშაულებდნენ ყველა უბედურებაში. პერიკლესმა ხალხს უთხრა: *დარტყმა არყევს ადამიანთა*

საკუთარ ძალებში რწმენას, და ეს დაგემართათ ჭირის გამო, მაგრამ დიადი ქვეყნის მოქალაქეებს მართებთ განსაცდელის ღირსეულად გადატანა. უნდა დაივიწყოთ პირადი გასაჭირი და ერთი მიზნის გარშემო გაერთიანდეთ. მოულოდნელი ჭირი იყო. სწორედ მან განგაწყოთ ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ ეს უსამართლობაა. მოულოდნელ წარმატებასაც მე ხომ არ მომაწერდით? ღმერთების მიერ მოვლენილი განსაცდელი უდრტვინველად უნდა მივიღოთ, ხოლო საბრძოლო - მხნედ. ნუ აჩვენებთ მტერს, რომ გასაჭირმა დაგრთგუნათ. ღირსეული სწორედ ისაა - ქვეყანა იქნება თუ კაცი - ვინც განსაცდელს მედგრად დახვდება (თუკიდ. ისტ. 3,156-158).

მომდევნო ზამთარს ჭირმა ისევ იფეთქა ათენში. ამჯერად ის მთელ წელიწადს მძვინვარებდა. ამ უბედურებამ დიდად შეარყია ათენის ძლიერება. სიებში შეტანილთაგან 4400 ჰოპლიტი და 300 მხედარი დაიღუპა, დანარჩენი მოსახლეობიდან კი - რამდენი, ვერავინ მოთვლის. ეპიდემიის დროს ათენში გახშირდა მიწისძვრები.

თუკიდიდესი ჰყვება მოზომილად, როგორც ჭეშმარიტი ისტორიკოსი, მაგრამ ემოციურად მიჰყვები ამბავს ექიმთა გარდაცვალებაზე, პაციენტთა ტანჯვაზე. მას შემდეგ, რაც სიმპტომებს აზუსტებს, ისტორიკოსი აღწერს, როგორი ზეგავლენა მოახდინა ეპიდემიამ ადამიანთა საზოგადოებაზე, მორალზე. მისთვის დამახასიათებელი ანტითეზისური სტილით მოგვითხრობს, როგორი გადამდები იყო ეს დაავადება, როგორ სწრაფად ვრცელდებოდა, რამაც გამოიწვია ეჭვი, რომ ეს სასჯელი ადამიანებს ზებუნებრივმა ღვთაებრივმა ძალებმა მოუვლინეს. თუკიდიდესმა დააფიქსირა მნიშვნელოვანი ფაქტი - რომ ადამიანები, დაავადების გადატანის შემდეგ, იძენდნენ იმუნიტეტს. ამბობდნენ, თუკიდიდესის ტექსტისთვის მეტი ყურადღება რომ მიექციათ ე. წ. ჰიპოკრატულ მწერლებს, მედიცინის ისტორია სულ სხვანაირად დაიწერებოდა (Smith 2008:123-126).

თუკიდიდესი იყენებს ბევრ სამედიცინო ტერმინს, რაც ეხმარება მკვლევრებს, 25 საუკუნის წინანდელი ეპიდემიის ბუნების შესწავლაში, ახსენებს დაავადებებს - წითელა, ტიფი და სიფილისსაც კი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ისტორიკოსის ქანდაკება დგას ავსტრიის პარლამენტის წინ, ვენაში. მას კაცობრიობის წინაშე დიდი და ბევრი დამსახურება მიუძღვის, მათ შორის, სამედიცინო სფეროშიც.

ლუკრეციუსი (ძვ. წ. 99-ძვ. წ. 55) აშკარად თუკიდიდესს ეყრდნობა ჭირის ეპიდემიის აღწერისას „საგანთა ბუნების“ მე-6 წიგნში. ჭირის აღწერის ზედმეტად პესიმისტური დასასრული მკვლევართა ნაწილს აფიქრებინებს, რომ მე-6 წიგნს აკლია გარკვეული ნაწილი - ან დაუსრულებელია, ან დაიკარგა დროთა განმავლობაში. ნაწილის აზრით, ეს თავი ჩაფიქრებული იყო, როგორც ეპიდემიის ამბის დრამატული და სიმბოლური დასასრული (Martínez 2017:33-36).

მე-6 წიგნის 1090-ე სტრიქონზე ლუკრეციუსი აცხადებს თავის გადაწყვეტილებას - ახსნას ავადმყოფობის მიზეზები, რომელსაც იგი მიაწერს ჰაერში ერთად თავმოყრილ მავნე ნაწილაკებს, ავადმყოფობების და სიკვდილის მოტივებს: *კატასტოფულად დაავადებული ჰაერიდან ვისუნთქავთ სხვადასხვა დაავადებებს, ინფექციებს. არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ თავად მოვინახულებთ იმ ქვეყნებს, თუ ჰაერი მოიტანს დაბინძურებულ გარემოს, ინფიცირებულ ცას. ეს ახალი უბედურება და ინფექცია, რომელიც მოულოდნელად ჩნდება, ძალიან საზიანოა როგორც ადამიანებისთვის, ასევე ცხოველებისთვის. იგი ან წყალზე, ან პურზე დაჯდება, ან სხვა საკვებზე, ან ჰაერში იტრიალებს. დაავადებამ ქალაქები მოსახლეობისგან დაცალა და უდაბნოდ გადააქცია* (ლუკრ. საგ. ბუნ. 6,1083-1089).

ლუკრეციუსი აღწერს დაავადების სიმპტომებს: *თავი მხურვალებისგან იწვოდა, თვალები ანთებული იყო, ჩაწითლებული, ხორხი სისხლით იჟღენთებოდა, სუნთქვა ჭირდა. ტკივილი იპყრობდა მთელ სხეულს. ადამიანი თანდათან სუსტდებოდა და მალევე კვდებოდა. ვინც გადარჩებოდა, ხეიბარი რჩებოდა - ან ფეხები წაერთმეოდა, ან ბრმავდებოდა* (ლუკრ. საგ. ბუნ. 6, 1005-1006).

ექიმებმა არც ძილი იცოდნენ და არც მოსვენება. დაავადება 8-9 დღე გრძელდებოდა. მიწა სავსე იყო ადამიანების გვამებით, ერთმანეთზე ეწყო გარდაცვლილები და მომაკვდავები. ადამიანებმა დაივიწყეს დაკრძალვის წესები. რიტუალები აღარ სრულდებოდა. კოცონზე წვავდნენ ახლობლებს. ყველა ერიდებოდა დაავადებულთან მისვლას. გარდაცვლილებს სასწრაფოდ კრძალავდნენ, ახლოს არ ეკარებოდნენ. არავინ იყო, ვისაც ან ვინმე არ მოუკვდა, ან ავადმყოფობამ ფიზიკურად არ დააზარალა. აღარც მწყემსები მუშაობდნენ, არც სხვები. დაავადებამ ადამიანები გამოკეტა ვიწრო ქოხებში და განწირული იყვნენ სიღარიბისა და შიმშილისათვის. ფრინველები და ცხოველები ტყეს არ ტოვებდნენ.

განსხვავება, ჭირის აღწერისას თუკიდიდესსა და ლუკრეციუსს შორის, გარდა ენისა, არის იმ ჟანრშიც, რომელიც ბერძენმა და რომაელმა ავტორებმა აირჩიეს - თუკიდიდესი შედარებით თავისუფალი პროზით გვიყვება ათენური ჭირის ამბავს, ლუკრეციუსი - შედარებით შეზღუდულ ჰექსამეტრს და ეპიკურ პოემას ირჩევს. გარდა ამისა, თუკიდიდესი ისტორიკოსია და თხრობისას დიდაქტიკური მიზნები ამოძრავებს, ლუკრეციუსი - მაღალ წარმოსახვით პოეზიას ქმნის. ეპიდემიის შესახებ ჩვენი წარმოდგენა, წინამორბედებთან შედარებით, ლუკრეციუსმა გააფართოვა რამდენიმე დეტალით, მაგალითად, რომ ადამიანებს სიკვდილის დროს გენიტალიებს აჭრიდნენ (შდრ. Gomme 1981: 91).

პარადოქსია ის ფაქტი, რომ მომდევნო თაობებში ლუკრეციუსის ტექსტი

ეპიდემიასთან დაკავშირებით უფრო ცნობილი იყო, ვიდრე იმათი, რომლებზე დაყრდნობითაც ლუკრეციუსმა ჭირის ამბავი მოგვითხრო.

პუბლიუს ვერგილიუს მაროს (ძვ. წ. 70-ძვ. წ. 19) შემოქმედებაზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა ლუკრეციუსს, რომელთანაც ლექსიკური, თემატური და სტილისტური მსგავსება განსაკუთრებით იგრძნობა ვერგილიუსის „გეორგიკებში“ (შდრ. Aberth 2016: 56-61). შესაძლოა, ყველაზე მეტად, ეს გამოჩნდა სწორედ მისტერიული და დამანგრეველი ჭირის აღწერისას, რომელიც, ვერგილიუსის მიხედვით, მომაკვდინებლად ზემოქმედებს ნორიკუმის (კელტების სამეფოს ლათინური სახელწოდება, რომელიც შედიოდა რომის იმპერიის მფლობელობაში) ცხოველებზე.

„გეორგიკების“ მესამე წიგნში ვერგილიუსი ბევრს წერს მეცხოველეობაზე; შემდეგ ჰყვება საქონლის, ცხენების, ცხვრების, ძაღლების მოვლის, ავადმყოფობების შესახებ; აქედან ლოგიკურად მიდის ე. წ. ნორიკუმის ჭირის აღწერამდე და მესამე წიგნს დეპრესიული განწყობით ასრულებს.

სანამ ეპიდემიის დეტალურ აღწერაზე გადავა, ვერგილიუსი მიანიშნებს ჭირის გამანადგურებელ ძალაზე, აღწერს რა ნორიკუმის დღემდე მიტოვებულ, გაჩანაგებულ სამფლობელოს.

ჭირი, რომელსაც ვერგილიუსი გავარვარებულ ღუმელს ადარებს, მისი აზრით, წარმოიშვა დაბინძურებული ჰაერისაგან და დააზარალა პირუტყვის საკვებისა და წყლის მარაგი.

დაავადების სიმპტომებში მთავარი იყო მაღალი სიცხე, მხურვალება, რომელიც იწვევდა ძარღვებისა და კიდურების შევიწროებას. დაავადებულ ცხოველს ურთულდებოდა სუნთქვა და აღენიშნებოდა სიმშრალე ყელში. ტრადიციული წამლებით მკურნალობა ცხოველებში ფორიაქს იწვევდა. ისინი ერთმანეთს კბენდნენ და ასახიჩრებდნენ. იღუპებოდნენ ხარები, ძაღლები, ციდან ცვიოდა მკვდარი ჩიტები. ირგვლივ ისმოდა ტკივილისგან დაკრუნჩხული არსებების ბღავილი. ვერგილიუსი ცხოველებს ადამიანების ემოციებს მიაწერს: მშვიდი ძაღლი გიჟდება, კეთილშობილი ცხენი აპათიაში ვარდება. (დაწვრ. იხ. Langmuir 1985). ეპიკოსი აფრთხილებს ადამიანებს, რომ ინფექცია ცხოველებისგან მათზე გადავიდოდა, თუ ისინი კანს რაიმეთი არ დაიფარავდნენ (ვერგ. გეორგ. 3, 125-129).

პუბლიუს ოვიდიუს ნასო (ძვ. წ. 43-ახ. წ. 18) ჭირს აღწერს „მეტამორფოზების“ მე-7 წიგნში (ოვიდ. მეტ. 7, 516-621). როგორც წესი, ოვიდიუსი არცერთ სხვა ავტორს არასდროს ბაძავს, მაგრამ „მეტამორფოზების“ ამ ნაწილს აშკარად ეტყობა ლუკრეციუსისა და ვერგილიუსის ზეგავლენა. მიუხედავად ამისა, მან რაღაც დეტალები, წინამორბედებისგან განსხვავებით, ყურადღების მიღმა დატოვა, რაღაც შეარბილა და საბოლოო ჯამში, მოგვცა ეპიდემიის შედარებით მსუბუქი სურათი. ძვ. წ. I საუკუნისათვის ეპიდემიის თემა საკმაოდ

პოპულარული იყო პოეზიაში და ოვიდიუსმა თავისი ნიჭი და მითოლოგიის ცოდნა ამ მოვლენის აღსაწერადაც გამოიყენა.

როგორც თხრობისას ირკვევა, სასტიკი სენით შერისხა კუნძულ ეგინას (საბერძნეთში, სარონიის ყურეს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი კუნძული, მდებარეობს მის ცენტრში, ათიკასა და პელოპონესს შორის) ხალხი იუნომ, რადგან კუნძულს ეწოდა მისი ქმრის, იუპიტერის ერთ-ერთი საყვარლის სახელი.

ოვიდიუსი მაკაბრეს, საშინელებათა ჟანრის პრინციპებით აღწერს ეპიდემიას: *შიგნეულობა იწვის, ავადმყოფობას სიწითლე მოასწავებს და ცხელი სუნთქვა. ენა სივდება, მშრალი ქარის მხურვალე ქროლით იღება პირი და ისუნთქავს დამღუპველ ჰაერს. სხეულს არ ძალუძს ქვეშაგების ან სამოსელის ატანა, მკერდით ეწებება მიწას გამომხმარს, სიგრილეს ვერ გრძნობს, სხეული კი ახურებს მიწას. არა ჩანს მხსნელიც, მას მძვინვარე ატყდება სენი. თავი აიშვეს, საზრუნავი მიაგდო ხალხმა, სიკეთე გაქრა, უსირცხვილოდ გაშიშვლებულნი წყაროდ, მდინარედ თუ ჭაობში ჩაყუდებულნი ველარ იკლავენ წურვილს, მეტად უძლურდებიან, დამძიმებულებს აღარ ძალუძთ სხეულთა ზიდვა, წყალში კვდებიან. ცდილობს, გაექცეს ამ გარდმოვლენილ უწმინდურებას. მიზეზი არ ჩანს. მიიჩნევენ ადგილს შერყვნილად. ვისაც ძალუძდა სიარული, დალასლასებდა და ცოცხალმკვდარი იდგა ფეხზე. სხვები ვაებით ეკვროდნენ მიწას და თვალებით ითხოვდნენ შველას, ხელებს უმწეოდ აღაპყრობდნენ ვარსკვლავებისკენ, სადაც სიკვდილი წაასწრებდათ, სულს იქ ღაფავდნენ* (ოვიდ. მეტ. 7, 500-586). განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ექიმები - ისინი თავიანთივე ხელობის მსხვერპლი გახდნენ. დაზარალდა საზოგადოების მორალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა: *ზოგი ადამიანი თავს თვითონ იკლავდა და სიკვდილის შიშს გაურბოდა ისევ სიკვდილით* (ოვიდ. მეტ. 7, 578).

დასკვნა. ანტიკური ლიტერატურა, ისე როგორც ხშირად, ეპიდემიასთან მიმართებაშიც გვაწვდის საინტერესო სურათს. როგორც ირკვევა, ადამიანები იცნობენ და ებრძვიან უძველესი დროიდან ეპიდემიებს 1. მეტ-ნაკლებად მსგავსი სიმპტომებით (გახშირებული სუნთქვა, ცხელება, ხველა, ყელის ტკივილი, დაწითლებული თვალები, გამონაყარი...); 2. მეტ-ნაკლებად მსგავსი მიზეზებით (დაბინძურებული ჰაერი, ხშირად ბუნების, ან ღმერთების გაბრაზებას მიეწერება ეპიდემია, როგორც რისხვა ადამიანების მიერ ჩადენილ ცოდვებზე, ან შეცდომებზე; 3. მეტ-ნაკლებად მსგავსი შედეგებით, რაც ეპიდემიას ზოგადად მოაქვს ადამიანთა საზოგადოებისთვის (გარდაცვლილთა დიდი რაოდენობა, ახლობლების შიში დაავადებულთან ურთიერთობის გამო და მარტოობაში სიკვდილი, ომების შეჩერება, სხვადასხვა ქვეყანაში ეპიდემიის სხვადასხვაგვარი განვითარება, იმუნიტეტის გამომუშავება,

წამალზე მუშაობა, ექიმების მძიმე მდგომარეობა, გახშირებული მიწისძვრები, საზოგადოების დემორალიზაცია, დეპრესია და მრავალი სხვა.

დროდადრო ეპიდემიის ტალღა გადაუვლიდა ხოლმე სამყაროს და დროდადრო მწერლების ყურადღებას იქცევდა ადამიანთა მოდგმის ეს ერთ-ერთი საშინელი რისხვა, რომელიც არ არის მხოლოდ დაავადება, რომელსაც მედიცინის სფერომ უნდა უშველოს.

ეპიდემია იყო სამედიცინო გამოწვევა, სახიფათო და შეცდომაში შემყვანი, მაგრამ ადამიანის ორგანიზმი არ იყო დაუცველი და შინაგანი იმპულსებით, მედიცინასთან ერთად, ცდილობდა გამკლავებოდა სენს. ეპიდემია, ასევე იყო სოციალური გამოწვევა - ოჯახები და მეგობრები ასეთები ვეღარ რჩებოდნენ საშინელი ტანჯვის გამო, ამიტომ არ არის გასაკვირი ის მორალური კოლაფსი, რომელიც თან სდევდა ეპიდემიას და რომელიც პირველად ლიტერატურაში თუკიდიდესმა აქცია ჭირის ამბის მთავარ აქცენტად.

ანტიკური ავტორების მიერ ლიტერატურაში შემოტანილი ეპიდემიის თემა განივრცო და შემდგომშიც არაერთხელ შეგვხვედრია მწერლობაში, მაგალითად, ჩოსერთან, ბოკაჩოსთან, თომას მანთან, კამიუსთან, დოსტოევსკისთან, ტურგენევთან, დიკენსთან, დეფოსთან, შელისთან და სხვებთან.

რა ისწავლეს ადამიანებმა ეპიდემიისგან, ძნელი სათქმელია. რას ვისწავლით ჩვენ, დრო გვიჩვენებს. მთავარია, რომ კაცობრიობამ იცის ეპიდემიის რამდენიმე მაგალითი, საკმაოდ მძიმე შედეგებით, რაც, ვფიქრობთ, კარგად გამოჩნდა ანტიკური ლიტერატურის ჩვენ მიერ განხილულ ავტორებთანაც, მაგრამ კაცობრიობა გადარჩა და ჩვეულებრივი ცხოვრების რეჟიმს ბევრჯერ დაუბრუნდა. ჩვენც გადავრჩებით.

p.s. სტატია დაიწერა მსოფლიოში კოვიდ 19-ის ეპიდემიით დიდი ჟამიანობის დროს, როცა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული.

01.05.2020

ლიტერატურა

Aberth 2016: Aberth J., The Black Death: The Great Mortality of 1348-1350: A Brief History with Documents. Springer. ISBN 9781137103499, 2016;

Alchon 2003: Alchon S.A., New Global Epidemics in New Perspectives, University of New Mexiko Press, 2003;

Axarlis 2017: Axarlis N., Plague Victims Found: Mass Burial in Athens, Cambridze University Press, Cambridze 2017;

Gilman2010: Gilman, Sander L. Moral panic and pandemics. The

Lancet. 375 (9729): 1866–1867. doi:10.1016/S0140-6736(10)60862-8. ISSN 0140-6736. PMC 7135638. PMID 20521345, 2010.

Gomme 1981: Gomme, A. W., ed. A. Andrewes and K. J. Dover. An Historical Commentary on Thucydides, Volume 5. Book VIII, Oxford University Press, Oxford 1981.

Duncan-Jones 1996: Duncan-Jones R., The Impact of the Antonine Plagues, JRA 9, 1996.

Inwood 2008: Inwood S., Tragedy and Athenian Religion. Lexington Books. ISBN 9780739104002, 2008.

Langmuir 1985: Langmuir A., formerly chief epidemiologist at the Centers for Disease Control in Atlanta, US. New England Journal of Medicine, 1985 1030. http://www.time.com/time/magazine/article/0,9171,963885,00.html.

Littman 2009: Littman J., "The plague of Athens: epidemiology and paleopathology". The Mount Sinai Journal of Medicine, New York 2009.

Martínez 2017: Martínez J., Political consequences of the Plague of Athens, Graeco-Latina Brunensia. 22 (1): 135–146. doi:10.5817/GLB2017-1-12. ISSN 1803-7402, 2017.

Olson 1996: Olson PE, Hames CS, Benenson AS, Genovese EN. "The Thucydides syndrome: ebola deja vu? (or ebola reemergent?)" Emerging Infectious Diseases 2,155–156. ISSN 1080-6059, 1996.

Smith 2008: Smith A., Plague in the Ancient World: A Study from Thucydides to Justinian, Oxford University Press, Oxford 2008.

Classics

Epidemic and Ancient Literature

Nino Chikhladze
Akaki Tseretely State University
Kutaisi, Georgia
nino.chikhladze55@atsu.edu.ge.

The World Health Organization (WHO) announced a pandemic on March 11, 2020 and words such as "epidemic," "pandemic," and "panic" became part of our daily discourse. These words are of Greek origin and indicate that the ancient Greeks thought a lot about diseases, both in its purely medical sense and as a metaphor for the wider conduct of human affairs. In some memorable passages in Ancient literature, the Greeks call Loimos a plague, while the Romans call it Pestis. The article deals with the description of the epidemic in ancient literature, in particular with Homer, Sophocles, Thucydides, Lucretius, Virgil, and Ovid.

Keywords: *epidemia, ancient literature, writers, doctors.*